სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030649952676720

**11 / აგვისტო / 2020 წ.** **თბილისი #06-161/ო**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" და "რ" ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანდართული **საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის** დეპარტამენტის დებულება.
**2.** ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ'' სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 12 აგვისტოს #06-152/ო და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2014 წლის 20 ივნისის #06-113/ო ბრძანებები.
**3.** ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა იმნაძე